ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6679332

ნომერი: AR1990106

თარიღი : 18.09.2023

გაცემის თარიღი : 26.09.2023

გაცნობის თარიღი : 26.09.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო გიორგაძე პ/ნ 33001062282
- თბილისი, თემქა 3 მიკრო

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

№AR1990106 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
ქ. თბილისში, ფეიქნების ქუჩა N 21-ში (ს/კ 01.11.04.029.118) ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 21.01.2020წ. №4828842 ბრძანებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საწყობი და საწყობის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ოფისის მშენებლობისთვის.
ამჟამად ითხოვთ, ტერიტორიაზე დამატებით ახალი ნაგებობისთვის სამშენებლოდ გამოყენების პიროებში ცვლილებას საწყობი, საწყობის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ოფისი და საწარმოს მშენებლობისთვის.
ვინაიდნა ცვლილებით მოთხოვნილი საწარმოს შენობის განთავსება გსურთ დამოუკიდებლად, საჭიროა მოახდინოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.
ამასთან, გაითვალსიწინეთ რომ ნაკვეთის იმ არეალში შენობის განთავსებისას რომელიც არ ესაღვრება საზოგადოებრივ სივრცეს/გზას საჭიროა მოხდეს სიმაღლის ანგარიში საკუთარი საკადასტრო საზღვრებიდან, შესაბამისად წარმოდგენილი განთავსებით აღნიშNული მოთხოვნა ვერ იქნება დაცული.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა 21.01.2020წ. №4828842 ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge